

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს
საჭიროებისათვის „ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების“ მიზნით
სახელმწიფო შესყიდვისთვის შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ. თბილისი

14.06.2012წ.

სხდომას უძღვებოდა:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი ფლენტი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის წევრები:

ალექსანდრე ალაკოვი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
მინისტრის პირველი მოადგილე;

კახაბერ ჩხარტიშვილი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი;

ილონა გრიგოლია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის იურიდიული,
საქმისწარმოებისა და კადრების სამმართველოს უფროსი (არ ესწრებოდა სხდომას საპატიო მიზეზის
გამო);

ვიანორ შელია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის მატერიალურ-
ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

სატენდერო აპარატის წევრები:

ლელა კიკალეიშვილი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის, იურიდიული,
საქმისწარმოების და კადრების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი.

მანანა ჭეცია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს
საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

დღის წესრიგი:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საჭიროების
(SPA 1200015698) „ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების“ მიზნით გამოცხადებულ

გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების განხილვა.

შოისშინეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის გიორგი ელენტიის გამოსვლამ, რომელმაც სატენდერო კომისიას აცნობა, რომ შპს „ბიარტი“-ის მიერ 2012 წლის წარმოდგენილ იქნა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები. კერძოდ:

- ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ბ) ინფორმაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია და გადახდისუნარიობის საქმის წარმოება;

განიხილეს:

კომისიამ განიხილა შპს „ბიარტი“-ის მიერ წარმოდგენილი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები: აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შემდგომ, არ შეიცავს არანაირ ხარვეზს და სრულად აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ შემსყიდველის მოთხოვნებს.

დაადგინეს:

1. არსებული მონაცემების საფუძველზე, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდეს შპს „ბიარტი“.
2. ეცნობოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს და მოწვეულ იქნას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.
3. სატენდერო კომისიის აპარატს დაევალოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-15 მუხლის საფუძველზე გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
4. „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, სატენდერო კომისიის აპარატს დაევალოს წინამდებარე ოქმის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარე:

 / გ. ელენტი

კომისიის წევრები:

 / ა. ალაკოვიძე




/კ. რიკატიძე/




/ბ. შელია/

კომისიის აპარატის წევრები:



/ლ. კიკლიაძე/



/ბ. შელია/

ს. რიკატიძე